**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში კილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"

**„დროების" ფასი:**

მთელ. წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, [illegible] ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს [illegible] და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და [illegible] ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება კილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური

პირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდინ

**„დროება"**

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში—კილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба".

არწრუნის თეატრი.

კვირას, 24 აპრილს

„სახალხო თეატრის დასის ამხანაგობისაგან" წარმოდგენილი იქნება:

I

კეთილი და უმანკო ანგელოზი

კომედია 3 მოქმედებ. გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან.

II

**პარიკმახერისას**

ვოდევილი თ. რ. ერისთავისა.

III

დივერტისმენტი სიმღერით, ლექსების კითხვით და ლეკურით.

დასაწყისი 7 1/2 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

21 აპრილს

**პეტერბურღი.** „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია დაწვრილებითი მოხსენება ვარშავის სასწავლო ოლქის მზრუნველისა იმ უწესოებაზე, რომელიც მომხდარა 4 აპრილს ვარშავის უნივერსიტეტში: როდესაც სტუდენტი ჟუკოვიჩი აძლევდა მზრუნველს თხოვნას, ყოვლის უმიზეზოდ შეურაცხყოფაც მიაყენა მას, და მეორე დღეს სტუდენტების გროვა შეცვივდა ერთს აუდიტორიაში და შექმნა ყვირილი; ინსპექტორის თხოვნაზე, რომ დაიშალნენ, წავიდნენ, სტუდენტებმა ყვირილით მიუგეს „გადით"-ო, თხოვდნენ რექტორს და ზოგიერთნი ამაღელვებელ სიტყვებს წარმოთქმიდნენ. ამ ხანში მეორე გროვა სტუდენტებისა შეგროვდა უნივერსიტეტის ეზოში, მაგრამ პოლიციამ და ჯარმა განდევნა ისინი ალაყაფის კარებს გარეთ. ამ სტუდენტების აღელვებამ მიიქცია ყურადღება და აუარებელი ხალხი მოგროვდა. როდესაც არც ინსპექტორის, არც რექტორის და არც ობერ-პოლიციმეისტერის თხოვნით სტუდენტები არ დაიშალნენ, აუდიტორიაში მოიხმეს ერთი როტა სალდათებისა და კრების მონაწილეთა სახელები ჩასწერეს.—სულ აღმოჩნდა 186 კაცი. 6 აპრილს სტუდენტები კიდე მოგროვდნენ ალაყაფის კარების გარეთ, მაგრამ ჯარმა განფანტა ისინი. სტუდენტები მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როდესაც ულანის გვარდიის სალდათები მოვიდნენ. ქუჩებში სტუდენტები ხმა მაღლა ჰყვიროდნენ და დასცინოდნენ ჯარს. 7-ს ლექციებმა მშვიდობიანად ჩაიარეს უნივერსიტეტში; 8-ს კიდე განიზრახეს დემონსტრაციის მოხდენა, მაგრამ ვერ მოახერხეს; 9-ს დაიწყო გასამართლება დამნაშავეთა, უნივერსიტეტის სამჯავროთი.

კავკასიის აქეთა რკინის გზის საზოგადოებამ ნება რთვა მიიღო ტყიბულის რკინის გზის გაყვანაზედ 38 ვერსის მანძილზე ქვან-ნახშირის საზიდავად.

## დღიური

ამ უკანასკნელ დღეებში თუმცა ბაქოს რკინის გზას დაჰყავს მოგზაურები, მაგრამ გზის გამგეობას ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია, გაიხსნა თუ არა გზა. საზოგადოება კი მოუთმენელად მოელის გზის გახსნას. ბილეთების ფასი უკვე გამოცხადებულია. ბაქომდის I კლასის ბილეთი ღირს 28 მან. 97 კაპ., II—21 მან. 72 1/2 კაპ., III-სა—14 მან. 8 3/4 კ. ბარგი ფუთი 96 1/4 კ. სხვა გზებთან—რუსეთის, თუ ფოთი-ტფილისის—შედარებით ეს ფასები ერთობ დიდია.

კამისიას სამაგალითოდ და ბეჯითად გაკეთებულად უცვნია ბაქოს რკინის გზა.

* * *

ამავე კამისიას დაუთვალიერებია ბათუმის რკინის გზაც და მდგომარე თვის დამლევისათვის ეს გზაც გაიხსნებაო.

* * *

ოდესის გაზეთები გვაცნობებენ, რომ უფროსი კამანდირი შავი-ზღვის ნაოსნობისა 4 აპრილს გემით „ელბრუსი" გამოსულა ოდესიდამ ყველა შავი-ზღვის ნავთ-სადგურების დასახედავად.

* * *

ამ დღეებში ქალაქში მოხდა ერთი საზიზღარი მკვლელობა, რომლის დამნაშავენი ვილაც გ. ბ., ს. გ. და გ., ტფილისის მოქალაქენი დღეს უკვე დაჭერილნი არიანო. ამ პირთ მოუკლავთ ტფილისში მცხოვრები აზნ. თუხარელი და ქალაქს გარეთ, ვერისაკენ, ჩაუმარხავთ მიწაში. ეს თუხარელი ერთი თვე თურმე გასულიყო სახლიდამ და ოჯახობას არც კი ეცნობებინათ პოლიციისათვის, რადგან ჰგონებოდათ, რომ მამულში წავიდოდაო ბორის მაზრაში.

* * *

დღეს, შაბათს, 23 აპრილს სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ნ. პ. ილინი წაიკითხავს უფასო ლექციას „ცხენებზე"—შუახნის ყრმათათვის.

* * *

ჩვენ მივიღეთ დღეს ცალკე გამოცემული მოთხრობა ალ. მირიანაშვილისა „ბედ-უკუღმართი ჯალაბობა", რომელიც უკვე იყო დაბეჭდილი „ივერიაში". ამ მოთხრობას ბოლოს მოქცეული აქვს, რაღაც ახირებული „წინა სიტყვაობა", რომელსაც ჩვენ არ შეგვიძლია სხვა სახელი მივსცეთ, გარდა „შეშლილის წერილებისა". ამ გვარი სულელური, ამ გვარი გიჟური როტვა, რომელიც ამ წიგნის ბოლოზე მოქცეულ წინა-სიტყვაობაშია ჯერ არ უნახავს არც ჩვენს ეგრეთ წოდებულ ბაზაზხანის ლიტერატურას.

ჩვენ გაკვირვებული ვართ, ვის და რისთვის მოუნდა ქაღალდის გაფუჭება ამ ნაირი ტვინის ნაწარმოებისათვის.

* * *

მეტეხის ციხის წიგნთ-საცავისა სასარგებლოდ ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსსა პავლეს—შეუწირავს კიდე 1000 სასარგებლო საკითხავი წიგნი რუსულს ენაზედ და აგრეთვე ფულადაც პატიმართს მდგმოიარობის გაუმჯობესოებისათვის.

მეტეხის ციხის პატიმარნი ამ გვარის მაღალის ყურადღებისათვის და თანაგრძნობისათვის უძღვნიან სასოებით მადლობას ყოვლად სამღვდელო ეგზარხოს პავლეს.

* * *

საზაფხულო თეატრში კვირას 24-ს აპრილს დანიშნული წარმოდგენა, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო აღარ იქნება.

## უკანასკნელი სიტყვა. *)

ერთი ლიტერატურული კანონი მოითხოვს, რომ, ვიდრე რომელიმე წერილი გათავებული არ არის, მოწინააღმდეგემ არაფერი არ უნდა დაბეჭდოს მის შესახებ. ჩვენი პირველი წერილი ბატ. მირიანაშვილის შენიშვნის წინააღმდეგ დავაბოლოვეთ მეორე წერილის დაპირებით. ეს წერილი მაშინვე დავამზადეთ, მაგრამ მის დაბეჭდვას არა ვჩქარობდით, რადგანაც ბატ. როსტომაშვილთან დაახლოებულ პირთა გვთხოვეს, მოგვეცადნა, თუ თვითონ ეს პირი, რომელიც მეღრო შედ გამოიყვანეს, რას იტყოდა შესახებ აღძრული ბაასისა. ჩვენ მოწინააღმდეგეთ ეს კარგად იცოდნენ, მაგრამ მათ მაინც არ დაიცადეს და დაბეჭდეს „თანამედროვე გოლიათი". ძმითი მათ მხსენებული ლიტერატურული კანონი დაარღვიეს და ერთხელ კიდევ აშკარად ჰქმნეს, რომ მათ საქმის გამინჯვა და საზოგადო ინტერესი კი არ აქვთ სახეში, არამედ მისდევენ პიროვნობას, რის გამოც მათთან ლიტერატურული ბაასი შეუძლებელია.

ჩვენ არა ვსთვლით შესაძლოდ და საჭიროდ, ბაასი გავუმართოთ „თანამედროვე გოლიათზედ", იმ კერძო მიზეზის გამოც, რომ ეს წერილი მოკლებულია ყოველს ნაყოფიერს აზრსა და არის მხოლოდ პოლემიკური სიტყვების რახარუხი, უკბილო ირონია და ჭორიკანაობა, თუმცა გარეგნის მხრივ თავიდგან ბოლომდის აშკარად ეტყობა გამოცდილი ლიტერატორის ხელი. მართლა და ძნელია ველაპარაკოთ კაცსა, რომელმაც სრულიად უცნობი სახელმძღვანელონი, ჯერედ არც დაბადებულნი და არც გამინჯულნი ცაში აიყვანა და წარმოსთქვა, რომ „დედა ენა" და „ბუნების კარი" მათ წინ ნაცრად უნდა იქცენო,—და როდესაც ჩვენ ამის პასუხად ვსთქვით—ჩვენს წიგნებს სრულიად არ ეშინიანთ მაგ გვარი წიგნების კონკურენციისა და შედარებით მათთან თუ არ მოიგებენ, არას წააგებენთქო, კადნიერად ჩვენი სიტყვების აზრი და ლალადება დაიწყო, ვითომც

*) ეს წერილი რედაქციამ მიიღო 16 აპრილს. რაც შეეხება იმ ლიტერატურულს კანონის დარღვევას, რომელზედაც ბატ. გოგებაშვილი ამბობს, ეს მოხდა მიტომ რომ პირ-და-პირი პოლემიკური ბაასი დაბოლოებული იყო ბ. გოგებაშვილის პირველს სტატიაში. შემდეგ სტატიას, როგორც თვით ბ. გოგებაშვილმა გვითხრა, პოლემიკური ხასიათი არ ექმნებაო. ეს სტატია დაიბეჭდა „დროებაში" კიდე.

რედ.

ჩვენ გვეთქვას, ჩვენი წიგნებისთანა არც იყო, არც არის და არც იქნებაო. როგორ გაუწიოთ ბაასი კაცსა, რომელიც დაურიდებლივ ამბობს, რომ ჩემი სტატია: მასწავლებლის მნიშვნელობაზედ „ივერიის“ რედაქტორმა მოიწონა და მხოლოდ თქვენ დაიწუნეთო, როდესაც იგი ჩვენამდის სრულიად დაწუნებული იქმნა არა მარტო რედაქტორისაგან, არამედ ზოგიერთა თანამშრომლებისაგანაც, თუმცა რედაქციას სურდა, ივერის წიგნში რაიმე პედაგოგიური წერილი დაბეჭდა? რა ვუთხრათ პირსა, რომელიც ისეთ ნაირად ლაპარაკობს, თითქო მისი რუსული თვისების ასოები ამშვენებდნენ ჩვენს დედანსა მაშინ, როდესაც იმანაც კარგად იცის და თითქმის მთელმა თბილელმა ყმაწვილ-კაცობამ უწყის, რომ ჩვენი დედანი იბეჭდება პატივცემული დიმიტრი ზაქარიას-ძის ბაქრაძის ხელის ასოებით? რა შევაგონოთ პირსა, რომელიც ამტკიცებს, რომ უკანასკნელს ათის წლის განმავლობაში პედაგოგიამ „გიგანტური ნაბიჯი“ გადადგა წინაო და ამ ნაბიჯის შეტყობა არ შეუძლიან იმას, ვინც მოჯამაგირესავით დატვირთული არ არის ხუთი-ექვსი გაკვეთილით დღეშიო? როგორ გავაგძელოთ ბაასი პირთა, რომელსაც თქვენი კანონიერი მოთხოვნილებანი შესახებ თანამდებობის გვარიანად აღსრულებისა, „შევიწროებად“ ჩაურიცხავს და ბრიყულად გემუქრებათ? რა შევაგინოთ პირსა, რომელიც სიბრიყვეზედ მამაცად შემდგარა, რადგანაც იცის, რომ თქვენ მის მოქმედებას ვერ შეეხებით. რათა რაიმე ენება არ ძიეცეს ერთს ძვირ-ფასს საზოგადო დაწესებულებასა?

ი. გოგებაშვილი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**გორი, 21-ს აპრილს.** ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ უცქიროს უწესოებას და არა სთქვასრა; ჩვენი გორი, რომ იტყვიან, სწორედ მას ქამის დაღისტანი გახდა: ყოველ ღამ ლოთობა, ხალხს ხვდებიან, ფანრებს ამტვრევენ, ჩხუბი, შარმანკის კვრა და ღრიანცელი. იქამდინ მივიდა საქმე, რომ აღდგომა დღეს გამოშლილ ხალხში შუა გულ გორში დღის ოთხ საათზედ ოთხი გატიტვლებული კინტუა ყირამალა გადადიოდნენ მთვრალები და იკლაკნებოდნენ, ერთი საათი ციხეზედ, ერთი საათი ხარაზ-აკოფაშვილის დუქნის წინ პატარა მოედანზედ და ესეც არ იკმარეს, ჩასხდნენ ესეთივე ტიტვლები ფაეტონში და დაიწყეს სეირნობა. მეფაეტონე კინაღამ დაარჩეს: როგორ თუ არ წაგვიყვანო. ღამე კი არავის ეგონოს —დღისით იყო ეს საქმე. და რა ჰქმნეს იმ პირთ, ვიზედაც არის დამოკიდებული წესის დაცვა ქალაქში?- არაფერი, დაიჭირეს და გაუშვეს.

ეს ჩვენი სალოდავი პატარა ქალაქი სწორედ ავაზაკების საბუდარი გახდა; დიდ ხუთშაბათს ღამეს აქ ერთის მკერვლის დუქანი გატეხეს ცხენის საპალნებით დაჭრილი და ზოგი შეკერილი ტანისამოსები წაიღეს; ერთი ტანისამოსის პატრონთაგანი ქარაპეტოვი გამოეკიდა მოსწვდა გზაში ახალ-ქალაქისაკენ, დაიჭირა ქურდები და მოიყვანა გორში. ამისთანა კაცია საჭირო პოლიციაში მოსამსახურედ, თუ არა და ასე მიშვება არ შეიძლება, ღამე არ გავა— რომ არა მოხდესრა აქა, წუხელაც დახვდენ ერთს აქაურს მოვაჭრე მურადოვს ღამის ცხრა საათზედ ვაგზლიდგან მომავალს; ნუ თუ პოლიციამ ვერ მიაგნო დღემდის სადგურს ამ ავზაკებისას. ვინ ჩასთვლის აქაურს უწესოებას და ყურ-უგდებლობას; ამას წინედ დესეტნიკი ჩამოივლიდა ხოლმე ცხრა ანუ ათ საათზედ და დააკეტინებდა დუქნებს; ეხლა მთელი ღამე ღრიანცელია რამდენიმე დუქნებში და ხმის გამცემი არავინ არის. რვა დესეტნიკი ჰყავს აქაურს პოლიციას, იქნება ცოტაც იყოს, მაგრამ ერთის მეტი არსადა სჩანან. გაუყონ უჩასტკებად ქალაქი, თვითო მცველი თავ-თავის ადგილს დააყენონ; ზევით-უბანს ერთხელაც არ მოხვდება თვეში ერთი დესეტნიკი.

***

## სომხეთის ეკკლესიის განცალკევება მართლ-მადიდებელს ეკკლესიისაგან და სომხების ღონისძიება მართლ-მადიდებლობის დამცირებისათვის ივერიაში

(ისტორიული მიმოხილვა)

**446 წ.** გარდაიცვალა საქართველოს მეფე მირდატ V. მან დასტოვა მცირე წლოვანი ძე ვახტანგ და დედოფალი სუნდუხტა, ასული არანის მთავრისა. არანი ამ დროს სპარსელებს ეჭირათ. ამ სუნდუხტას მიელო ქრისტიანობა და გადმოეთარგმნინებინა სალმრთო წიგნები. რადგანაც ვახტანგი მცირე წლოვანი იყო, ამისათვის სამეფოს განაგებდა სუნდუხტა; ვახტანგი კი იზრდებოდა მცხეთის არხიეპისკოპოზ მისაილთან. ამ დროს სპარსეთს დაეცნენ ჰუნნები. სპარსეთის მეფემ გამოგზავნა ჯარი საქართველოში არანის მთავრის წინამძღომლობით, რათა მათ აეოხრებინათ საქართველო, გაევრცელებინათ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა და მოესპოთ ქრისტიანობა, რადგანაც, თუ სპარსელები ქართველებს ცეცხლ-თაყვანის-მცემლობას მიაღებინებდნენ, ქართველები დაჰკარგავდენ საბერძნეთთან კავშირს და დაუახლოვდებოდნენ სპარსეთს.

ეს რომ გაიგო სუნდუხტამ, შეჰყარა ქართველთ დიდებულნი და სამღვდელონი. დაიწყეს რჩევა, თუ როგორ გამოეხსნათ საქართველო მომავალს საშინელებისაგან. იქ მყოფთა, რჩევით წავიდა სუნდუხტა თავის მამასთან არანში და სთხოვდა მას—არ აეოხრებინა საქართველო. სუნდუხტას თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, მაგრამ იმ პირობით, რომ ა) ქართველებს არ უნდა დაემალნათ მაგებისათვის ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა და ბ) უნდა მიეცათ ჯარი სპარსეთში წასაყვანად ჰუნნების წინაალმდეგ.

ქართველებმა შეჰკრიბეს ჯარი და გაატანეს სპარსეთში. გაიყვანეს ჯარი აგრეთვე სომხეთიდგანაც. თუმცა ამ ჯარებმა მამაცად იომეს სპარსეთში ჰუნნების წინაალმდეგ, საუბედუროდ ქართველთ არ ეღირსათ შინ დაბრუნება. სპარსეთის მეფემ მოინდომა, რომ მათთვის (ჯარებისათვის) ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა მიეღებინა, და თუ ისინი ამას აღასრულებდენ, შინ დაბრუნება ეღირსებოდათ, თუ არა ვეღარა ნახავდენ სამშობლოს. ქართველების ჯარი არ დათანხმდა ამაზედ და ერთიან ამოხოცილ იქმნენ. სომხებმა კი ქრისტეს ამჯობინეს სიცოცხლე და მიიღეს ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა და მშვიდობით დაბრუნდენ სამშობლოში ვართანის წინამძღომლობით.

ვართანი ამ ჯარით მალე წინააღუდგა სპარსეთის უფლებას სომხეთში. სპარსეთის მეფემ დიდ-ძალი ჯარი გამოგზავნა სომხეთის დასამშვიდებლად. თუმცა სომხები საბერძნეთს შემწეობასა სთხოვდენ, მაგრამ არა რაიმე ნუგეში არ მიიღეს საბერძნეთისაგან, რადგანაც მთელი მართლ-მადიდებელი ეკკლესია დიდს ღელვაში იყო ამ დროს, ოდესაც დანიშნული იყო მე-IV მსოფლიო კრება ქალკიდონში. ამ მსოფლიო კრებაში ქართველთა ეკკლესიის წარმომადგენელი იყო სებასტოპოლის ეპისკოპოსი ძეროპი, რომელმაც მოუტანა საქართველოს სამღვდელოთა კრების დადგენილება. სომხებს კი, აოეულობისაგამო, არავინა ჰყოლიათ ამ კრებაზედ.

როდესაც სპარსელებმა სომხები დაამშვიდეს, მაშინ განდევნილ მწვალებლებმა, რომელთაგან სავსე იყო სირია, ურჩიეს სპარსეთის მეფეს (შაჰს), რომ უკანასკნელს მიეღებინა სომხებისათვის სხვა სარწმუნოება, რომლითაც სომხებს დააშორებდა საბერძნეთს, და იგინი სულ სპარსეთის ქვეშე იქმნებოდენ. შაჰმა მოინდომა, რომ სომხებისათვის ნესტორიანთ სჯული მიეღებინა. ამისათვის მან მისცა ნება ნესტორიანებს ეარნათ სომხეთში და გაევრცელებინათ თვისი სარწმუნოება. სომხებს დიდი წინააღმდეგობა არ გამოუჩენიათ ნესტორიანთ წინააღმდეგ. ეს ამისთვის, რომ ისინი რომ ომებში გართულნი იყვნენ დადიოდენ სომხეთში მწვალებლები და აგონებდენ სომხებს, რომ ქალკიდონის მსოფლიო კრება სულ ეწინააღმდეგება, როგორც სამს წინანდელს კრებას, აგრეთვე მოციქულების სიტყვებსაო. ისე ეცადენ მწვალებლები, რომ დააჯერეს სომხები. ამის შემდეგ ურიცხვად დაიარებოდენ ქალკიდონის მსოფლიო კრების მოწინააღმდეგენი სომხეთში და ავრცელებდენ თვის შეცდომას. ამ ნაირად წმ. გრიგოლის დანერგილი ქრისტიანობა სომხეთში უკუმიიქცა და გაილახა მწვალებლებისაგან.

ამ დროს საქართველოს სამღვდელოება ყურ-მახვილად იყო და სცდილობდა, რომ საქართველოში არ შემოეტანათ მწვალებლებს თავიანთი სწავლა. ქართველები ძლიერ არცხვენდენ სომხებს, რომ მათ ნება მისცეს მწვალებლებს სომხეთში ტარებისა. სომხებსა და ქართველებს შუა შური მაშინ გავრცელდა, როცა, ბაკურ *) მეფის დროს, საქართველოს კათალიკოზმა ქირიონმა (სიმეონმა) თვის სამწყსოდამ განდევნა წურთავის ეპისკოპოზი მოსე, რომელიც იყო სომეხი, მწვალებლების მომხრე და თვისი სამწყსო შეჰყავნდა შეცდომაში. ქირიონმა გამოიწვია საბერძნეთიდგან რამდენიმე მსწავლული სამღვდელო პირი და მათ ჩააბარა ზოგიერთა საეპისკოპოზონი. განდევნილმა ეპისკოპოზმა მოსემ მიჰმართა სომხეთის კათალიკოზ მოსეს და სთხოვდა მას შუამავლობას ქირიონთან, რომ უკანასკნელს დაებრუნებინა მოსესთვის წურთავის საეპისკოპოზო. მოსე კათალიკოზმაც დასწერა ეპისტოლე და გაუგზავნა ქირიონს. იგი სწერდა რომ ქირიონს დაებრუნებინა ეპისკოპოზ მოსესათვის წურთავი და სწერდა აგრეთვე მას, რომ ვითომც ქირიონი ძლიერ შესცდა, რადგანაც საბერძნეთიდგან მოსულს პირთ ჩააბარა საეპისკოპოზონი. ამ დროს გარდაიცვალა კიდეც კათალიკოზ მოსე. მისი ალაგი დაიჭირა აბრაამმა.

განდევნილმა მოსემ ახლა აბრაამს მიმართა. აბრაამმა დაიწყო ქირიონთან წერილების წერა. მასა ჰსურდა, რომ ქირიონი შეეცდინა მცბიერის სიტყვებით და დაეშორებინა საბერძნეთს. ქირიონი რომ მიხვდა აბრაამის მიზანს, შეჰკრიბა სამღვდელოთა კრება მცხეთაში, სადაც ბაკურ III თავსმჯდომარეობით გარდასწყვიტეს, რომ არ ჰქონოდათ სომხებთან კავშირი. შემდეგ ქირიონმა, რომ მოეშალა აბრაამთან უსარგებლო მიწერ-მოწერა, გადაათარგმნინა წმ. მსოფლიო კრების დადგენილება, გაუგზავნა აბრაამს და მისწერა: ჩემი სარწმუნოება სრულიად ეთანხმება მსოფლიო კრებების დადგენილებასაო, თუ შენც მიიღებ ამ დადგენილებას ხო კარგი, თუ არა და ჩვენსა და თქვენს შუა ამას იქით არა რაიმე კავშირი არ იქნებაო.

აბრაამმა სცნა თუ არა ეს, შეკრიბა დვინში სამღვდელოთა კრება და ემუქრებოდა დიდად მათ, რომელიც იქ მყოფი ეპისკოპოზთაგანი არ დასწყევლიდა ქალკიდონის მსოფლიო კრებას. დანიშნულს დღეს შეიკრიბნენ სომხების ეპისკოპოზები, გადასინჯეს მსოფლიო კრების დადგენილება (ქალკიდონისა), სცნეს იგი მოწინააღმდეგედ მოციქულთა სწავლისა და ერთხმივ დასწყევლეს, როგორც ქალკიდონის კრება, აგრეთვე იმის მიმდევნი და მათს შორის უფრო ქირიონი.

ქირიონმა, რომ ვერა შეასმინა-რა სომხეთის კათალიკოზს, მისი (აბრაამის) მოწერილი წერილები გაუგზავნა

*) ბაკურ III ანუ „ბაქარ III“ მეფობდა 13 წელიწადი (557—570 წ.).

ერთის მთავრის ხელით იერუსალიმის პატრიარქს. სომხებმა გაიგეს ეს და როცა კირიონის გაგზავნილმა მთავარმა გაიარა, გასცარცვეს—წაართვეს ქაღალდები. შემდეგ კირიონმა თვისის სიტყვით შეატყობინა აბრაამის წერილების შინაარსი როგორც იერუსალიმის პატრიარქს, აგრეთვე რომის პაპას. რომის პაპისაგან მოუვიდა კირიონს ეპისტოლე, რომელშიაც პაპი დიდს მადლობას უთვლიდა კირიონს, რომ უკანასკნელს არ შეუშვია მწვალებლები თვისს სამწყსოში. კირიონმა, სომხების ამბავი შეატყობინა აგრეთვე იმპერატორს მავრიკის. მავრიკიმ შეკრიბა სომხების სამღვდელოება სტამბოლში 597 წელს. ამ კრებაში იყვნენ 19 ეპისკოპოზი, ორი არქიმანდრიტი და სხვ... ამ კრებაში მათ გადასინჯეს ოთხი პირველი მსოფლიო კრების დადგენილება, სცნეს ქალკიდონის კრება ჭეშმარიტად და თანხმად მოციქულების სწავლისა. აქ მყოფ სომხების სამღვდელოებამ აღიარა ყველამ ქალკიდონის მსოფლიო კრება ჭეშმარიტად და სიხარულით დაბრუნდენ სომხეთში, მაგრამ აქ ელოდებოდათ მათ საშინელი მტერი ჭეშმარიტებისა—აბრაამი! აბრაამი მათ ურჩევდა, მოენანებინათ თვისი ცოდვა, რომ აღიარეს ორი ბუნება იესო ქრისტეში. სტამბოლში მყოფი სამღვდელოება არ დაეთანხმა ამაზედ აბრაამს. ამ ნაირად სომხეთის ეკლესია განიყო ორს ნაწილად. მავრიკიმ რომ გაიგო ეს მოქმედება აბრაამისა და ეკლესიის ორს ნაწილად გაყოფა, გამოგზავნა კათალიკოზად დასავლეთის ნაწილისა იოანე, რომ აბრაამის მომხრეებს არ დაემცირებინათ ჭეშმარიტება დასავლეთის სომხეთშიაც (სტამბოლში მყოფნი ეპისკოპოზნი სულ დასავლეთს სომხეთისანი იყვნენ). ამ ორს ნაწილს შუა შემდეგ ძლიერ გაძლიერდა უთანხმობა და შური. ამ დროს გარდაიცვალა კათალიკოზ აბრაამი. კათალიკოზად დაინიშნა კოლისტი.

კათალიკოზ კოლისტი იყო, არა ნაკლებ თვის წინამორბედისა, მტერი მართლ-მადიდებლობისა. მან შეჰკრიბა კარგი მოქადაგე ხალხი და გაჰგზავნა თვის სამწყსოში, რომ მათ ხალხისათვის ჩაეგონებინათ სიწმიდე თვისის ეკლესიისა და დაეწყევლათ ქალკიდონის მსოფლიო კრება. კოლისტმავე გადმოათარგმნინა რამდენიმე მწვალებლების თხზულება: პეტრე ანტიოქიელისა, ტიმოთე ალექსანდრიელისა და სხ. კოლისტმა შესცვალა ძველი წესი წირვა-ლოცვისა ახლით. მის სიკვდილის შემდეგ იქმნა კათალიკოზად ქრისტეფორე. ამან 628 წ. დაუტევა თვისი ადგილი თავის ნებით. შემდეგ კათალიკოზად იკურთხა ეზდრა.

ეზდრის კათალიკოზობის დროს, 629 წ. მეფე ირაკლიმ დანიშნა კრება სომხეთის სამღვდელოებისა თეოდოსის ქალაქში, რომ შთაეგონებინა სომხებისათვის ჭეშმარიტება. ამ კრებაში თვითონ ეზდრაც იყო. აქ მყოფთ ყოველთა სცნეს ჭეშმარიტება, აგრეთვე ეზდრამ. სომხეთში დაბრუნების დროს, ეზდრას უნდოდა ჭეშმარიტება აღედგინებინა თვისს სამწყსოში. სომხების სამღვდელოება წინააღუდგა ეზდრის სურვილს. შეიკრიბნენ ერთად და ერთ-ხმივ დასწყევლეს ქალკიდონის მსოფლიო კრება. განრისხებული ირაკლი წამოვიდა სომხების დასასჯელად, რადგანაც იგინი დაუახლოვდენ სპარსელებს *). ირაკლის წინ მიეგება სომხეთის კათალიკოზი ნერსესი და სთხოვდა, რომ არ აღეოხრებინა სომხეთი. ირაკლიმაც შეიწყნარა მისი თხოვნა. ირაკლის უნდოდა ესარგებლა ამ შემთხვევით და მიეღებინა სომხებისათვის ქალკიდონის მსოფლიო კრების დადგენილება. თუმცა ირაკლიმ აღასრულა კიდეც თვისი აზრი, მაგრამ სომხებმა ისევ მალე დასწყევლეს ქალკიდონის კრება.

648 წ. იმპერატორმა კონსტანსიმ გაგზავნა სომხეთში ნასწავლი სომეხი ვე დავითი, წოდებული ფილოსოფოსად, რომ მას შთაეგონებინა ჭეშმარიტება სომხებისათვის. მოვიდა თუ არა დავითი სომხეთში დანიშნა სამღვდელოთა კრება დუვინში. (648 წ.). თუმცა იგი ძალიან სცდილობდა, რომ გაენთავისუფლებინა სომხები მწვალებლების სწავლისაგან, მაგრამ ტყუილად! სომხები ისევ სიბნელეში დარჩნენ. ნერსესის შემდეგ მის თანამდებობას აღასრულებდა ვინმე იოლანესი. ამ იოლანესმა შემატა სომხეთის ეკლესიას თავის წილი სიცრუვე და მით უფრო დააშორა ეკლესია საბერძნეთის, მართლ-მადიდებელს ეკლესიას: მაგ., მან გასცა ბრძანება, რომ აღარ ეწირნათ გაფუვებულს პურზედ და წმ. საიდუმლოში წყალი არ აერივნათ. მანვე შეკრიბა მანაზკერტში კრება, დააწყევლინა იქ მყოფთ პირთ როგორც ქალკიდონის მსოფლიო კრება, აგრეთვე ეპისტოლე წმ. ლევისა, რომის პაპისა. ერთის სიტყვით იოლანესი სულ იმასა სცდილობდა, რომ დაეშორებინა თვისი ეკლესია საბერძნეთის ეკლესიას, რადგანაც, მისის აზრით, საბერძნეთის ეკლესია ეწინააღმდეგებოდა წმ. მოციქულების სწავლას.

სომხები ამ მდგომარეობაში იყვნენ IX საუკუნემდის. მე IX საუკუნეში სომხების მდგომარეობის გაუმჯობესობა მოინდომა შესანიშნავმა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფოტემ. ეს იყო ჭეშმარიტი მართლ-მადიდებელი და ქრისტეს მოყვარე სამღვდელო პირი. მან მისწერა სომხეთის კათალიკოზს ზაქარიას დიდი ეპისტოლე. ფოტე ამ ეპისტოლეში სწერდა მიზეზს, რომლისაგამო არ მიიღეს სომხებმა ქალკიდონის მსოფლიო კრების დადგენილება: ა) რომ სომხები ომებში იყვნენ გაბმულნი და არა ჰყვანდათ ქალკიდონის კრებაზედ წარმომადგენელი; ბ) რომ ტყუილი ამბავი ესმოდათ, ვითომც ქალკიდონის კრება ეწინააღმდეგება სამს პირველს კრებასა და გ) სირიელი მწვალებლების რჩევით, სპარსეთის შაჰმა უბრძანა სომხებს სხვა სარწმუნოების მიღება, თუ არა სამშობლოდგან მათ სხვაგან გადაასახლებდა. ეს ეპისტოლე გამოატანა ფოტემ იოანეს (ვაანს), რომელიც იყო ჩამომავლობით სომეხი, მცოდნე სომხურისა და ბერძნულის ენებისა, ჭეშმარიტი მართლ-მადიდებელი და ამისთვის ეჭირა ნიკეაში არხიეპისკოპოზობა. იგი მოვიდა სომხეთში და დანიშნა კრება შირაკანში 862 წ. დანიშნულს დროს აქ შეიკრიბა სომხეთის სამღვდელოება. ამ კრებაში იყო თვით კათალიკოზ ზაქარიაც. იოანემ წაუკითხა თვის მოძმეთ ფოტეს ეპისტოლე და ურჩევდა, რომ იგინი მოქცეულიყვნენ ჭეშმარიტს გზაზედ. სხვათა შორის იოანემ ამ კრებაში წაუკითხა მათ მოკლედ ჭეშმარიტი ცნობანი წმ. სამებაზედ.

თუმცა ამ იოანეს სიტყვებმა მრავალი ჩააფიქრა და მოაგონა, რომ შემცდარნი იყვნენ, მაგრამ უწინდელსავე სიბნელეში დარჩნენ.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სომხები გაფანტული იყვნენ მთელს მცირე აზიაში და სცდილობდე, რომ, სადაც კი მართლ-მადიდებელსა ჰნახავდენ, შაეცდინათ თავისაებრ. ამ ნაირი ცრუ-მასწავლებლები ეწვივნენ აგრეთვე საქართველოსაც. მთელი მიზიყი და სხვა მივარდნილი ადგილები სავსე იყო სომხებით-მწვალებლებით. საქართველოს სამღვდელოება ძლიერ ყურმახვილად იყო და ყოველს წამს, როცა კი ნახავდა ამისთანა მასწავლებლებს ხალხში, მზად იყო, რომ იგი გადაეხვავებინა თვისის სამწყსოდამ სადმე სხვა ადგილს. საქმე მივიდა იქამდის, რომ საქართველოს სამღვდელოებამ მე XII საუკუნეში, რუისის კრებაზედ ერთ-ხმივ დასწყევლა სომხები. ეს მოხდა დავით აღმაშენებელის მეფობაში, XII საუკ.

დავით აღმაშენებელმა, შემდეგ მისა, რომ შეაერთა ერთს სამეფოდ სხვა-და-სხვა საქართველოს ნაწილები, ყურადღება მიაქცივა აგრეთვე ეკლესიას. რადგანაც იგი ჰხედავდა, რომ სომხეთიდამ გადმოფანტული მწვალებლები ბევრს ქართველს აცდენდენ, ამისათვის მან მიიღო ჯეროვანი ზრუნვა, რომ დაეცვა სიწმიდე თვისის ეკლესიისა. თვისის მოძღვრის არსენის *) შემწეობით მან დანიშნა სამღვდელოთა კრება რუისში. თავსმჯდომარედ იყო ქართლის კათალიკოზი იოანე III. ამ კრებაში გადასინჯეს საღმრთო-წიგნები, დადგენილება მსოფლიო კრებათა, დასწყევლეს მწვალებლები, დასცვალეს ეღირსნი ეპისკოპოზები და მათი საეპისკოპოზონი სხვათ ჩააბარეს. სომხებმა გაიგეს თუ არა, რომ რუისის კრებაში ჩვენ დაგვწყევლესო დანიშნეს კრება ქ. ანისში და მიიწვიეს იქ საქართველოს სამღვდელოება, რათა განსაჯონ ვისი სარწმუნოება ჭეშმარიტია. ამ კრებაში იყო თვით დავითიც, კათალ. იოანე, არსენი და სხ. დაიწყო ლაპარაკი საღმრთო საგნებზედ. ქართველებმა დაამტკიცეს, რომ სომხებმა ტყუილად დასწყევლეს ქალკიდონის მსოფლიო კრება, რომ უსაფუძვლოდ მიუმატეს სამების ლოცვას—„ჯვარცმული ჩვენთვის"—ე. ი. სომხებმა მიაწერეს უხორცო სამებას ტანჯვა (ჯვარცმა). შერცხვენილი სომხების სამღვდელოება დაბრუნდა თვისს ალაგას და შეუდგა უფრო ბეჯითად თვისს საქმეს, ე. ი. მწვალებლობის ქადაგებას. ამ ნაირად ანისის კრებამ არამც თუ არ მოუტანა მათ რაიმე სარგებლობა, არამედ უფრო განაძლიერა ქართველებსა და სომხებს შუა მტრობა. რომ არ შეეცდინათ სომხებს მართლ-მადიდებელნი, ამისათვის მეფემ უბრძანა არსენის მოკლე სწავლის შედგენა სამებაზედ და დარიგება სამღვდელო პირთ, რათა მათ ამ სწავლით ეხელმძღვანელად და დაეცვათ თვისი ეკლესია უწმინდურებისაგან. არსენიმ აღასრულა მეფის ბრძანება და შეადგინა მოკლე სწავლა წმ. სამებაზედ, რომლითაც ხელ-მძღვანელობდენ სამღვდელონი და საერონი პირნი.

ბ. ფ—რ—ც—ლ—ძე.

*) იხ. „Обозр. Арменіи"—Худобашева, стр. 198.

*) ეს არსენი იყო სამცხედგან. თექვსმეტის წლისა იგი შავიდა ბერად და მიიღო განათლება ათონის მთაზედ. დავითმა რომ გამოითხოვა ნასწავლი პირნი ათონის მთიდგან საქართველოში სჯულების გასამრავლებლად, ამ პირთ მოჰყვა არსენიც. არსენი, კახეთის ქართლთან შაერთების შემდეგ იქმნა იყალთოს (კახეთშია) მონასტრის წინამძღვრად. აქა მასსა ჰქონდა გამართული მშვენიერი სასწავლებელი, სადაც ასწავლიდენ ყმაწვილებს „ღვთის-მეტყველებას", „ფილოსოფიას" და სხ...

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავადმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობი-

სა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარილების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარილების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარილ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


უქმეეზე

ლონდონის მაღაზიაში

(ერევნის ქუჩა კომერც. ბანკის ქვემოდ)

დანიშნულია მეტად იაფი ფასი საზღვარ გარეთის სასმელებზე

| | |
|---|---|
| რომი ბოთლი — | 1 მ. 20 კ. |
| კონიაკი — — — | 90 კ. და 1 მ. |
| აბსენდი — — — | 1 მ. 50 კ. |
| მინას ღვინო — — | 1 მ. 50 კ. |
| პორტვეინი და ხერესი „ | 90 კ. |
| ვოდკა 40— — — „ | 45 კ. |
| მშვენიერი ლიქორი | 1 მ. 35 კ. |

ჰავანის სიგარები ყ ელაზედ იაფად.

საუკეთესო შავი ჩაი 1 გირვ. 1 მ. 20 კ.—2 მ. 40 კ. (10—8)

შავერდოვის გაზეთის სააგენტოში მიღებულია პირველი ნომერი ქუთაისში ახლად-გამოცემულის ჟურნალის „ქართულის ბიბლიოთეკისა". № იყიდება 75 კაპ.

ნომერი შედგენილია მშვენივრად და ღირს-საყურადღებოდ მკითხველთათვის. (10—6)

ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს 25 ამა აპრილისათვის მსურველთ, მიიღონ თავის თავზე წყლის გაყვანის მილის გაშენება ახალ—ბებუთოვისა და კონსულის ქ.ქ. პირობათა შეტყობა შეიძლება მუდამ დღე ქალაქის რჩევაში ნაშუადღევის 2 საათ. (2—1)

ახალი წიგნი:

მომაკვდავნი სურათნი

კომედ. IV მოქმ. ი-დის გ. შარვაშიძისა. იყიდება ტფილისს—ჩარკვიანის წიგ. მაღაზიაში და ქუთაისს შილაძისაში.

ფასი თითო წიგნისა 5 შაური.

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

საყმაწვილო ბაღი

№ 1

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

ინგლისის

მაღაზია

*Maison de confiance*

მაღალყელთ წაღები წყვილი—1 მ. 10 კ. მოკლეყელიანი—1 მ. 40

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ხელთათმანები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, და 50 პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—65)

ახალი ქართული

კარაბადინი

იყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იყიდება.

საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინინის-მიერ. ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ზ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლონკოსი, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—$11^1/_2$-დის ქალი-ექიმი ა. ვ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავად-მყ., $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი (20—16)

დაიბეჭდა და იყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი მაკმასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—66)



აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ახალი

წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—28)

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, პარამკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, სჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაჟკი—20 კ. (100—5)

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

„ციქო"

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

იყიდება ტფილისში „დროების" რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების" რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაიფურის ნივთები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—53)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.


ტაქსია

სასყიდლის ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Апрѣля 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.